საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრუნერის აისი

გრუნერის აისი

გრუნერის აისი, (Anthocharis gruneri), პეპელა თეთრულასებრთა ოჯახისა, იშვიათი სახეობა, აღმ. ხმელთაშუაზღვის ენდემი. ამიერკავკასიაში გვხვდება მისი ქვესახეობა. გ. ა-ის გავრცელების ჩრდ. საზღვარია საქართველო. გვხვდება სამხრ. მთიანეთის (ახალციხე-ახალქალაქი, თბილ. მიდამოები) და კავკასიონის (თუშეთი) ქსეროფიტულ დაჯგუფებებში მცირე პოპულაციების სახით. პეპელა ძირითადად გვხვდება ივნ.-ივლ-ში (ზოგჯერ ადრეც), მთაში კი – უფრო გვიან. გ. ა-ის მატლი იკვებება ღორღორას (Sysimbrium) გვარის წარმომადგენლებით. დიაპაუზას გადის ჭუპრის ფაზაში. საქართველოში დაცულია საგურამოს, ბორჯომისა და ახმეტის ნაკრძალებში.

ე. დიდმანიძე